ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 1523025001**

თარიღი:**25/01/2023**

ლუკა ასათიანის ბათუმის ქალაქისთავად არჩევის დღის აღსანიშნავად ყოველწლიური ღონისძიების გამართვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ყოველი კალენდარული წლის 25 იანვარს გაიმართოს შესაბამისი ღონისძიება, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ლუკა ასათიანის ბათუმის პირველ ქალაქისთავად არჩევის დღესთან დაკავშირებით, ქალაქის წინაშე მისი ღვაწლის წარმოსაჩენად.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს უზრუნველყოს ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით შესაბამისი საბიუჯეტო და საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი